Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 25 (102) გამოც. მე-3 წელი | ქართული ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი | ბერლინი, 25 ივნისი, 1944 წ.

უდიდესი გამოცდა

ორ წელზე მეტია ქართველი მოხალისენი იარაღით ხელში სდგანან ახალი ევროპის სადარაჯოზე გერმანელ ჯარისკაცთან ერთად. ამ ხნის მანძილზე ჩვენმა მამაცმა მებრძოლმა ახალგაზრდობამ არაერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა ქართველი ხალხის გმირულ ისტორიაში. პასუხისმგებლობის ნათელი შეგნებით და მოვალეობის შესრულების უდიდესი გრძნობით იბრძოდა და იბრძვის ქართველი მოხალისე ყველა უბანზე, სადაც კი მას გერმანული სარდლობა დააყენებს.

მას შემდეგ, რაც ქართველ ახალგაზრდობას ძალაუნებურად რუსულ ჯარში უხდებოდა სამსახური, დღეს პირველად გამოვლინდა ნამდვილად ჩვენი მებრძოლი სული და ქართული გმირული ტრადიცია. ევროპის სახელოვანი დამცველების სიმამაცეს მთელი ევროპა აღიარებს. ქართველმა ჯარისკაცმა, რომელსაც საშუალება მიეცა თავისი ეროვნული დროშის ქვეშ ბრძოლისა, მთელს ქვეყანას დაუმტკიცა, რომ არ მომკვდარა ჩვენი წინაპრების რაინდული სული და გმირული ტრადიციები. მიზნის სიცხადე ქართველ მოხალისეს დღეს სრულ შესაძლებლობას აძლევს იბრძოლოს მთელი არსებით, მთელი გატაცებით, გამოიყენოს ქართული მოდგმის ეგზალტური თვისებები. მან შესანიშნავად იცის, რომ მისი ბრძოლა, მისი დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის, რომ სადაც არ უნდა იყოს იგი, მისი ბრძოლა საბოლოოდ სამშობლოს თავისუფლებისათვის არის მიმართული.

ამიტომ სიამაყის გრძნობით შევხვდით ჩვენ ეხლაც ოფიციალურ ცნობას, სადაც აღნიშნულია ქართველ მოხალისეთა ნაწილების გმირობა და სიმამაცე. ომლებიც მკერდით იცავენ ევროპაში შემოსეულ მტრებს. ქართველი მოხალისენი ნორმანდიის ნაპირებთან პირისპირ შეხვდნენ ინგლის-ამერიკელთა შემოჭრის არმის ჯარისკაცებს. საფრანგეთის მინდვრებზე ისე, როგორც ყირიმსა და იტალიაში, ქართველმა მოხალისეებმა საქვეყნოდ დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება საერთოევროპული ბრძოლისადმი პლუტოკრატიისა და ბოლშევიზმის ბლოკთან. მტრის მოქმედების შეგნება არცერთი წუთით არ ავიწყდებოდათ და არ ავიწყდებათ ქართველ მოხალისეებს. თავისი სახელოვანი მოკავშირე — გმირული გერმანული არმიის მხარდამხარ, მამაცურად მიდიან ისინი ბრძოლაში საერთო მტრის წინააღმდეგ.

არავითარ პროვოკაციას, არავითარ მზაკვრულ პროპაგანდას არ შეეძლოთ და ვერც შესძლებენ ქართველი მოხალისის მებრძოლი სულის ჩაკვლას. მან კარგად იცის, რომ სწორეთ ატლანტიკის სიმაგრის მისასვლელებთან სწყდება ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბედიღბალი. დასავლეთში, და არა აღმოსავლეთში გამარჯვებამ უნდა მოგვიტანოს ნაციონალური იდეის ზეიმი. საქართველოს განთავისუფლების, მისი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ახალი ევროპის ჩარჩოებში ჩვენი სამშობლოს შესვლის საათი დაჰკრავს ევროპის დამცველთა გამძაფრებულ ბრძოლაში ინგლის-ამერიკელი აგაზაკების წინააღმდეგ.

თავიანთი იშვიათი გმირობით ქართველმა მოხალისეებმა დაამტკიცეს, რომ ეს გარემოება მათ ბრწყინვალედ აქვთ შეგნებული.

მთელი გერმანიისა და ევროპის პრესა ალაპარაკა ქართველთა გაუგონარმა გმირობამ, რომელიც მათ გამოიჩინეს ატლანტიკის სანაპიროზე სადესანტო ჯარების წინააღმდეგ. განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა № 795 ქართულმა ათასეულმა, რომლის მებრძოლებს ყველაზე მძაფრ შეტაკებებში მოუხდათ მონაწილეობის მიღება.

ომი სწყდება არამარტო ტექნიკით, არამედ, პირველ რიგში, სულის სიძლიერით, ნებისყოფის სიმტკიცითა და იმ იდეის სიმართლის რწმენით, რომლის სახელითაც იბრძვის დღეს ქართველი მოწინავე ახალგაზრდობა გერმანიის უძლეველი არმიის რიგებში. ჩვენს მებრძოლთა გულებში გიზგიზებს ჩაუქრობელი ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა, უდიდესი სურვილი — სამშობლოს სახელით ყოველგვარი მსხვერპლის გაღებისა.

ბრძოლები დასავლეთში სულ უფრო-და-უფრო მძაფრდება. ეს არის ჩვენთვის უდიდესი გამოცდა. იგი ჩვენ ბრწყინვალედ დავეპირეთ და შემდეგშიც ასევე ვისახელებთ თავს. ჩვენ მტკიცე რწმენით ვუცქერით მომავალს, ვინაიდან გვწამს, რომ სიმართლე გაიმარჯვებს ამ ქვეყანაზე. საბოლოოდ განადგურდება ბოლშევიზმი და მსოფლიო პლუტოკრატია.

მსხვერპლი, რომელიც ჩვენ გავიღეთ და კვლავ გავიღებთ ევროპის დასაცავად ბრძოლებში, თავის ნაყოფს გამოიღებს.

ლონდონი ცეცხლის ალში...

ულევის სისწრაფით მოედო მსოფლიოს ინგლისის წინააღმდეგ გერმანელებისაგან ახალი სახის იარაღის გამოყენების ამბავი. ინგლისის მესვეურები დღეს უკვე თავს იმტვრევენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს გერმანელების ეს საიდუმლო იარაღი, რომელიც ჯერ-ჯერობით არნახული და გაუგონარი სიძლიერით მოქმედებს. „რეიტერ"-ის ცნობით, ახალი სახის აფეთქებადი ნივთიერებათა მოქმედებით გამოწვეული ნგრევები იმდენად დიდია, რომ ის ყოველგვარი წარმოდგენის საზღვრებს სცილდება. 16 ივნისიდან დაწყებული, სამხრეთ ინგლისის რაიონები და თვით ლონდონი ცეცხლის ალშია გახვეული. პირველი გერმანული მფრინავი-მფრინავი, რომელიც ახალი სახის იარაღის მოქმედების შედეგების გამოსარკვევად ლონდონზე გაფრინდა, შემდეგს მოგვითხრობს: „... შედარებით წყნარად გადავუფრინდით სრუტეს. ორიოდე პროჟექტორი ბჟუტავდა სადღაც შორიდან. ინგლისის სანაპირო არტილერია კანტიკუნტად მოქმედებდა. ღამის გამანადგურებლები არსად სჩანდნენ. ინგლისში გამეფებული იყო სამარისებური სიჩუმე. რამოდენიმე წუთი და ჩვენ ლონდონის ცეცხლის ალმა გაგვანათა... უზარმაზარი ქალაქი წარმოადგენდა ცეცხლის კერას"...

ერთადერთი საშუალება, რომელიც ინგლისელებმა ამ ახალი იარაღის წინააღმდეგ გამონახეს, იყო ის, რომ გასროლილ მაშხალას ჰაერში უნდა გამოჰკიდებოდა მფრინავი-გამანადგურებელი და ზღვაზე ანდა დაუსახლებელ ადგილებზე მოესპო იგი. შეშმარიტად, ინგლისელები იმდენად შეშფოთებული და დაფრთხალი არიან ახალი სახის იარაღის მოქმედებით, რომ ნორმალური აზროვნების უნარი დაჰკარგეს და ბოდვა დაიწყეს...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისელი პლუტოკრატები ვერ გამონახავენ ვერავითარ საშუალებას, რომელიც წინ აღუდგება გერმანულ ძლევამოსილ იარაღს. 16 ივნისიდან დაწყებული, ნორმანდიაში მყოფი გერმანელი მებრძოლები ისმენენ მფრინავ აფეთქებულ ნივთიერებათა განუწყვეტელი ფრენის ხმას და რამოდენიმე ხნის შემდეგ ინგლისის სანაპიროებიდან საშინელ აფეთქებათა გამოძახილს.

ატლანტიკის სანაპიროზე. სასტიკ ბრძოლებში დაჭრილი ქართველი მოხალისე, შესახვევი პუნქტისაკენ მიმავალ გზაზე ესაუბრება გერმანელ ამხანაგს
(სურათი მოთავსებულია გერმანულ გაზეთ „ფოლკიშერ ბეობახტერში").

ჩვენზე ლაპარაკობს მთელი გერმანია

ქართველ და კავკასიელ მოხალისეთა წარმატებანი

„ნორმანდიაში, ინგლის-ამერიკელთა სადესანტო ჯარების წინააღმდეგ გმირულად იბრძვის მრავალი გერმანული ათასეული, რომელთა გვერდით ყოველთვის სდგანან კავკასიელი მოხალისეები. ფიურერის სადგომიდან გადმოცემულ ცნობებში არაერთხელ და ორჯერ იყო აღნიშნული ამის შესახებ. ერთერთმა გერმანელმა გენერალმა, რომელიც შემოტევის პირველ დღეებში ხელმძღვანელობდა ოპერაციებს ნორმანდიაში, განაცხადა: „აღმოსავლეთის მოხალისეთა დანაყოფები განსაკუთრებით კარგად იბრძოდნენ. ზოგიერთი მათგანი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდა თავის პოზიციებს, რომელიც მტრის მიერ ალყაშემორტყმული იყო. უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ნახევარკუნძულ კოტანტენზე ქართული და კავკასიური ათასეულები ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ შემოტევი ამერიკელების წინააღმდეგ. მათი მეთაურები, დაჭრებული ოფიცრის მეთაურიდან ათასეულის მეთაურამდე, ლირსეულ ხელმძღვანელობას უწევდნენ თავიანთი ხალხის შვილებს ინგლის-ამერიკელთა დამპყრობელი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, რაც აღნიშნულ იქნა დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლის ფელდმარშალ ფონ რუნდშტედტის მიერ".

გაზ. „12 უჰრ ბლატი".

*

„აღმოსავლეთის მოხალისეთა ათასეულები მრავალ ადგილას შეხვდნენ ბრძოლაში ინგლის-ამერიკელთა საჰაერო დესანტის ნაწილებს. ყველგან მათ სასტიკად დაამარცხეს მტერი და მიაყენეს მას დიდი დანაკარგი.

ამ ბრძოლებში ყველაზე მეტად თავი ისახელა ერთერთმა ქართულმა ათასეულმა, რომელიც შერბურგის ნახევარკუნძულზე იბრძოდა".

გაზ. „ბერლინერ ლოკალ ანცაიგერი".

„აღმოსავლეთის ათასეულები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ოპერაციებში ინგლის-ამერიკელების წინააღმდეგ ნორმანდიაში, ყველა გერმანელი მეთაურის აზრით, იბრძოდნენ განსაკუთრებით კარგად და სრულიად გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები.

მოხალისეებს შეუძლიათ იამაყონ იმ დახასიათებით, რომელიც მათ მისცა საარმიო კორპუსის მეთაურმა, ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულმა, გენერალმა მარქსმა. მან შტაბის უფროსის თანდასწრებით შემდეგი განაცხადა: „ჩემი საარმიო კორპუსის მოქმედების რაიონში მებრძოლი მოხალისეთა ყველა ათასეული განსაკუთრებით კარგად იბრძოდა".

სამხედრო კორესპონდენტი
ა. შმალფუსი.

*

„ყირიმიდან რუმინეთის სხვადასხვა ნავსადგურებზე გავლით, ათინაში ჩამოდნენ კავკასიელ მოხალისეთა ნაწილები. მათ შორის ქართული ათასეულიც. იგი რამოდენიმე თვის განმავლობაში ყირიმის დაცვის მოწინავე პოზიციაზე იყო, სადაც მოხალისეებმა თავდადებული ბრძოლებით თავი გამოიჩინეს.

გასული წლის ნოემბერში, ფიურერის მთავარი სადგომის ცნობაში, აღნიშნული ათასეული მოხსენიებული იყო, როგორც განსაკუთრებული წარმატებების მქონე მაშინდელ ბრძოლებში".

გაზ. „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი".

ბრძოლები ნორმანდიაში

გაზეთი „ფოლკიშერ ბეობახტერი" ათავსებს ვილჰელმ ვაისის მეტად საინტერესო წერილს სამხედრო მოქმედებათა შესახებ ნორმანდიაში. ვაქვეყნებთ მის თარგმანს ოდნავი შემოკლებით.

ევროპის ყველა ხალხებმა დღეს უკვე შეიგნეს, რომ ინგლის-ამერიკელთა გადმოსვლა სრუტეზე, რომელიც მოხდა 1944 წლის 6 ივნისს, წარმოადგენს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენას. ჩვენ ვიცით, რომ ამ ოპერაციის სამხედრო მნიშვნელობა არ ამოიწურება სამხედრო მოქმედებათა ახალი ასპარეზის გახსნით და რომ ისტორიულ დღეს, 6 ივნისს გადადგმულია გადამწყვეტი ნაბიჯი, რომლის მიზანს წარმოადგენს ევროპის გამოთიშვა მომავალი ხანის ისტორიიდან, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში მოქმედი ძალისა. ამიტომ გერმანული სატანკო დივიზიები იცავენ ეხლა ორნსა და ვირეს შორის მთელი კონტინენტის ბედს. ცეცხლის ძალა, რომელიც შემოჭრის ჯარებმა ატლანტიკის სიმაგრეზე, სენის ყურესა და საფრანგეთის ჩრდილო სანაპიროზე მიმართეს, დაატყდათ მათ, ვინც იცავს ევროპას დასავლეთი კულტურის ყველა მტრისაგან. სამხედრო ბრძოლა, რომელიც ნორმანდიის ველებზე სწარმოებს, ანალოგიურია ძალთა მტკიცე წონასწორობისა, ვინაიდან ყველგან, სადაც ინგლის-ამერიკული ნაწილები საფრანგეთის ტერიტორიაზე ფეხს სდგამენ, ისინი ხვდებიან გერმანიის ჯარისკაცებს, და აწყდებიან მათ ურყევ გადაწყვეტილებას — დაიცვან მიწის ყოველი გოჯი. ამიტომ დასავლეთში შემოჭრის მიზანს წარმოადგენს ქვეყანა, რომელიც ევროპის გული გახდა, ერთადერთი, რომელსაც გააჩნია ძალა, რომელსაც ათასი წლის განმავლობაში ამ კონტინენტის ხალხთა შორის მომხდარი შეჯახებების შემდეგ, უნარი აქვს წარმოადგინოს და დაიცვას ევროპის იდეა. ეს ქვეყანა არის ნაციონალ-სოციალისტური გერმანია, ხოლო ძალა — არმია.

აუცილებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი მტრების განსაკუთრებული ცდა, რომლებიც მიისწრაფიან მსოფლიოში ჯერარნახული კონცენტრირებული შეტევების დაწყებით, წამოართვან გერმანია. ზუსტად ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისური არმია, რომელიც იმ დროს კმაყოფილდებოდა საფრანგეთის ფრონტის მხოლოდ მარცხენა ფლანგის ამოფარებით, გაძევებულ იქნა მატერიკიდან ფიურერის ჯარისკაცების მიერ. ოთხი წელი გავიდა დიუნკერკიდან უკანდახევის შემდეგ. ამგვარად, ჩერჩილის სამხედრო ხელმძღვანელობას თავის განკარგულებაში ჰქონდა ოთხი წელი და ამ ხნის განმავლობაში თავი მოუყარა მსოფლიოს ნახევრის სამხედრო და სამეურნეო რეზერვებს იმისათვის, რათა დაეწყო მეორე შემოტევა გერმანიაზე. გერმანული ხელმძღვანელობა არასოდეს არ სტყუვდებოდა იმაში, რომ ახალი შემოჭრა, მოწყობილი გეგმაზომიერი და რამდენიმე წლის მზადების შემდეგ, უდიდესი გამოცდა გახდებოდა გერმანელი ხალხისათვის. და იმ დროს, როცა ჩვენ რამდენიმე წლის მანძილზე აღმოსავლეთში ვაწარმოებდით გამძაფრებულ ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მხედველობაში გვქონდა, რომ ჩვენი გადამწყვეტი შეტაკება ჩვენს დასავლეთელ მტრებთან დღის წესრიგიდან არ იყო მოხსნილი. ვინაიდან ევროპის მტერმა — ბოლშევიზმმა, მოკავშირეები იპოვა ინგლის-ამერიკელების სახით, რომელნიც მზად არიან ევროპის მიმართ ყოველგვარ გამცემლობაზე წავიდნენ, აუცილებელი იყო ამ მსოფლიო ბრძოლის მოგება იქ, სადაც ის დაიწყო: ბრძოლების ისტორიულ სარბიელზე, ჩრდილო საფრანგეთში, რეინის დასავლეთით, იქ, სადაც არაერთხელ გადაწყვეტილა ევროპის ბედი.

ეიზენჰოუერისა და მონტგომერის შემტევმა ნაწილებმა წინწამოწევის ყოველი მეტრი, რასაც ისინი აწარმოებენ გერმანული თავდაცვის ურაგანული ცეცხლის ქვეშ, უნდა აანაზღაურონ აურაცხელი სისხლიანი მსხვერპლით. „ინგლის-ამერიკელების მიერ ხელთ ჩაგდებული ტერიტორიის მინიმალური უბანი უჯდებათ მათ ყველა ძალების განსაკუთრებულ დაჭიმვად და უზარმაზარ სისხლიან დანაკარგად. მოზიდვის საშუალებათა მუშაობის უსაშიშროება და შეუფერხებლობა ინგლის-ამერიკელებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ, ვინაიდან მათ ხელთ ჯერ არა აქვთ არც ერთი ნავსადგური" — ასეთია ერთი ესპანელი სამხედრო მიმომხილველის აზრი დასავლეთ ევროპაში სამხედრო მოქმედებათა პირველი დღეების შედეგთა გამო. მაგრამ ყველაფერი ეს ხომ შეიძლებოდა ცოტა სხვანაირად მომხდარიყო და იგი უდაოდ შეიძლებოდა ჩერჩილისა და რუზველტის განზრახვების დიდად შესაბამი გამომდგარიყო, უკეთუ საბჭოთა შემოტევები შესძლებდნენ დაეკავებინათ აღმოსავლეთში გერმანიის სამხედრო ძალის ძირითადი მასა და მთელი რიგი გადამწყვეტი ბრძოლების შედეგად გაენადგურებინათ იგი ან თუნდაც მნიშვნელოვნად შეესუსტებინათ. სამხედრო მოქმედებანი დასავლეთში ასეთ შემთხვევაში სრულიად სხვა ხასიათს მიიღებდნენ. ისინი შემოიფარგლებოდნენ იმით, რომ ინგლისელები, ისარგებლებდნენ რა ომის წარმოების თავიანთი ჩვეულებრივი მეთოდებით, გადმოსხამდნენ აღმოსავლეთში ხანგრძლივი ბრძოლებით დაღლილი გერმანული ძალების ზურგში, მხოლოდ ნაწილს ეხლანდელი სადესანტო ჯარებისა, და ამით გადაწყდებოდა მთელი ომის ბედი.

სტალინგრადიდან ჩერნოვიცამდე დახევა ისტორიულად გამართლებული შეიქნა 6 ივნისის ამბებისა და იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც ეხლა იწყება. გერმანიის აღმოსავლეთის არმიის ძლევამოსილმა შეტევებმა საბჭოთა კავშირის სიღრმეში, წარმოშვა წინაპირობანი მოძრავი ომის წარმოებისთვის აღმოსავლეთში რამდენიმე წლის განმავლობაში, რის შედეგად საბჭოთა სამხედრო მანქანა აქამდე უძლური იყო უშუალოდ დამუქრებოდა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებს, და მასთან ერთად ევროპის ცენტრსაც. ამიტომ, როდესაც 1942 წლის ზამთარში გერმანიის სამხედრო სარდლობა გადავიდა თავდაცვაზე, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომლის სტრატეგიული აზრი ნათელი ხდება მხოლოდ დღევანდელ მომენტში და სავსებით ნათელი გახდება ახლო კვირების განმავლობაში. რამდენიმე დღის წინათ რუზველტმა განაცხადა, რომ შემოჭრის ვადა დადგენილი იყო თეირანის კონფერენციაზე, რომელშიც სტალინი ღებულობდა მონაწილეობას. გადმოსხმისა და რომის აღების ვადების დამთხვევა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს ვადა განსაზღვრული იყო ოპერაციების განვითარებასთან დაკავშირებით სამხედრო მოქმედებათა სხვა ასპარეზზე.

ამასწინათ პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ თეირანში ვადები დაკავშირებულ იქნა ჩერნოვიცის ოპერაციებთან. მაგრამ ცხადია, რომ ეიზენჰოუერი ბოლშევიკების მიერ ჩერნოვიცის დაკავებას არ სთვლიდა თავისთვის მნიშვნელოვან მომენტად. ეს არის კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ ინგლის-ამერიკელები მიისწრაფოდნენ შესაძლებლობისამებრ გაეჭიანურებინათ შემოჭრის ვადა, იმედოვნებდნენ რა, რომ გერმანელების დამარცხება აღმოსავლეთში გაუადვილებდა მათ მუშაობას დასავლეთში.

მაგრამ, რაც მეტხანს გრძელდებოდა მოლოდინი, მით უფრო მძიმე და გამოუვალი ხდებოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ხელმძღვანელობის მდგომარეობა დასავლეთში. რადგან მოსალოდნელი კატასტროფა აღმოსავლეთის ფრონტზე არ მოხდა, ამიტომ თითეული კვირა, რომლითაც გადაიწევდა შემოტევის ვადა, ნიშნავდა გერმანული თავდაცვითი ფრონტის გაძლიერებას. დიდი ბრძოლის გამოსავალზე, რომელიც ეხლა საფრანგეთში სწარმოებს, დამოკიდებული იქნება — ხომ არ ჩასწერს ისტორია ჩვენი მტრების კალენდარში 1944 წლის 6 ივნისის თარიღს შენიშვნით: „მეტად დაგვიანებულია!"

გერმანელი მებრძოლები ნორმანდიაში ტყვედჩავარდნილი ინგლისელი პარაშუტისტების მიერ დატოვებულ პარაშუტს სინჯავენ.

*

შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ ინგლის-ამერიკელთა შემოჭრა იმის მაჩვენებელია, რომ ომის წარმოების ინიციატივა დღესაც გერმანული სარდლობის ხელშია. საქმე ის არის, რომ გერმანული თავდაცვა და ამ თავდაცვის მოსაწყობი ფართო ღონისძიებანი, რაც გერმანულმა სამხედრო სარდლობამ დასავლეთში ჩაატარა, წარმოადგენს საბაბს, რომელმაც აიძულა მტერი ემოქმედნა.

სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლონდონში შეიძლებოდა თავისუფლად გადაეწყვიტათ, როდის გაიცემოდა ბრძანება გენერალური შეტევის დაწყების შესახებ მატერიკზე და საჭირო იყო თუ არა მისი საერთოდ დაწყება. ამ ომის მოგება არ შეიძლება 1918 წლის რეცეპტებით, მიუხედავად საჰაერო ტერორის გაძლიერებისა. კრემლზედაც თანდათან უნდა შეეგნოთ, რომ ამ ომის მოგება საერთოდ შეუძლებელია მხოლოდ „გენერალ დროზე" და ბოლშევიკ მოკავშირეზე დაყრდნობით. ამიტომ აუცილებელი შეიქნა ომის გადამწყვეტის ძებნა იქ, სადაც მათ ეს ყველაზე ნაკლებად სურდათ: ბრძოლის ველზე.

მაგრამ ამ მხრივაც ამბების არცერთ მონაწილეს დღევანდელ მომენტში არავითარი ეჭვი არ ეპარება: აუცილებელია ამ ომის ასეთივე ბოლომდე მიყვანა, რადგანაც ეს არის მსოფლმხედველობათა ომი, რომლებიც დამნაშავენი არიან მის წარმოშობაში და რომელიც დაჟინებით მოითხოვს ისტორიის განაჩენს, ეს განაჩენი გადასწყვეტს — რა ნიშნის ქვეშ მოექცევა ევროპის მომავალი არსებობა. „განთავისუფლებულ" რომში დღეს ტარდება ნაძირალათა დემონსტრაციები ბოლშევიკური დროშებით. ეიზენჰოუერისა და მონტგომერის ჯარისკაცებს საფრანგეთში, ერთ მშვენიერ დღეს, მოუხდებოდათ აღმოეჩინათ, რომ ისინი წარმოადგენენ სხვა არაფერს, ვიდრე მოსკოვის მიერ მოსამართ თოჯინებს. ჩვენ ყოველდღიურად სულ უფრო ნათლად ვრწმუნდებით, რომ ეს ომი თანდათან ამჟღავნებს გიგანტური, სულ უფრო და უფრო მზარდი სამოქალაქო ომის ხასიათს. და ისე, როგორც მსოფლიო ისტორიის ყველა რევოლუციებში, ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებს ის იდეა, რომელიც უფრო მეტად შეეფერება მიმდინარე დროის მოთხოვნილებებს და რომელიც წარმოადგენს უფრო მეტად საჭიროს ცხოვრებისადმი ხალხთა ნებასურვილის განხორციელებისათვის.

ყველა ომი სწყდება პირველყოვლისა მათ მწარმოებელ ხალხთა გულებში. პოლიტიკურ პრელუდიას სამხედრო შეჯახებებისა, რომლებიც ჩვენს დროში სწარმოებს, წარმოადგენს ის საბრძოლო წლები, რომელთა განმავლობაში ნაციონალ-სოციალიზმმა ბოლო მოუღო ხალხის შინაგანი გახრწნის ელემენტებსა და ძალებს, რომელთაც სურდათ ჩვენი ეროვნული არსებობის დანგრევა. გამძაფრებული და სასტიკი ბრძოლიდან, რომლის დროსაც სწყდებოდა კითხვა „ყოფნა-არყოფნის" შესახებ, ნაციონალ-სოციალიზმი გამარჯვებული გამოვიდა. ის, რაც მაშინ იქნა მოპოვებული, დღეს უნდა შენარჩუნებულ იქნას ნორმანდიაში ბრძოლის ველზე. ნაციონალ-სოციალიზმმა გერმანელი ხალხის სულში ისეთი ღრმა ფესვები გაიდგა, რომ დღევანდელ მომენტში მათი მოსპობა შეუძლებელია შემოჭრის ძალით ან ბომბარდირებით. გერმანელი ჯარისკაცი დღეს ისე ფანატიკურად არის გამსჭვალული ნაციონალ-სოციალისტური რევოლუციის სულით, რომ მისი წინააღმდეგობის გატეხა არ შეიძლება „საერთაშორისო ებრაელობის მიერ დაქირავებული არმიით. ატლანტიკის სიმაგრეებში ჩვენ ვიცავთ რევოლუციას, რომელიც წარმოადგენს მონაპოვარს ფრონტისაც და ზურგისაც. ამიტომ ბრძოლები კანალზე ისევე გადაწყდება ზურგში, როგორც ჯარისკაცების მიერ ფრონტზე. გერმანული ფრონტი და გერმანული ზურგი ერთნაირად [illegible] იმ [illegible]გებით, რომ ისინი დღეს იცავენ ყველაზე [illegible] იდეას და რომ მისი სახელით [illegible] რებიან ფრონტისაკენ უფრო ძლიერი [illegible] სულები, რათა იქ გაიმარჯვონ.

ნორმანდია. გერმანელი ოფიცერი აწარმოებს ინგლისელი ტყვეების დაკითხვას.

მდგომარეობა ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

მიუხედავად ძლიერი ბრძოლისა და უდიდესი მსხვერპლისა, მტერმა ნორმანდიაში ვერავითარ [illegible] წარმატებას ვერ მიაღწია. გერმანიის უმაღლესი სარდლობის 21 ივნისის ცნობით, მტერი, მის მიერ დაკავებულ მიწის სივრცეზე, მდ. ორნის აღმოსავლეთით, ხელახლა იქნა შევიწროვებული გერმანიის ჯარების მედგარი შეტევების შედეგად. ინგლის-ამერიკელთა იერიში ტ ი ლ ი ს სამხრეთ-დასავლეთით, უკუგდებულ იქნა. უშედეგო აღმოჩნდა შემოტევები აგრეთვე ვ ა ლ ო ნ ი ს ჩრდილოეთით და შ ე რ ბ უ რ გ ი ს სიმაგრის წინააღმდეგ.

გერმანიის საჰაერო ძალები განაგრძობენ ნორმანდიის სანაპიროებზე დაგროვილი მტრის [illegible] თავმოყრის ადგილების განადგურებას. შემოჭრის დღიდან, გასული ორი კვირის განმავლობაში, გერმანიის საჰაერო [illegible] საზღვაო ფლოტმა და სანაპირო ბატარეებმა ჩაძირეს მტრის 2 კრეისერი, 14 გამანადგურებელი, 4 სწრაფმავალი ნავი, 27 ტრანსპორტი გემი 167.400 ტონა წყალწყვით და ტანკების გადამზიდი 12 გემი. დაზიანებულია 6 კრეისერი (მათ შორის სამი მძიმე), 21 გამანადგურებელი, 68 სატრანსპორტო გემი და 3 სხვა ტიპის გემი.

შუა იტალიის ფრონტზე, რომელიც 140 კილომეტრზეა გადაშლილი, მძვინვარებს გააფთრებული ბრძოლა. გერმანიის ჯარი გმირულად იგერიებს მტრის ყველა შემოტევას, მტრის დაჟინებითი ცდა, გაერღვია გერმანელთა ფრონტი, უშედეგოდ დარჩა. პ ე რ უ ჯ ი ა ს ჩრდილო-დასავლეთით მტერი აწარმოებს განსაკუთრებულ შემოტევას, რაც აურაცხელ მსხვერპლად უჯდება. ე ლ ბ ა ზ ე მებრძოლი მცირერიცხოვანი გერმანული ჯარი 19 ივნისამდე თავდადებით ებრძოდა მტრის რიცხობრივად მეტ ძალებს და აყენებდა მას გამანადგურებელ ზარალს. 20 ივნისს გერმანიის ჯარი კუნძულიდან გადაყვანილ იქნა კონტინენტზე. გადმოყვანის დროს წარმოებულ ბრძოლისას ჩაძირულ იქნა მტრის ორი სწრაფმავალი ნავი.

აღმოსავლეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. ვ ი ტ ე ბ ს კ ი ს სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის შემოტევები უკუგდებულ იქნენ. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შენაერთებმა ფინეთის უბეში ჩაძირეს საბჭოთა 5 სწრაფმავალი ნავი, დააზიანეს 6 და ჩამოაგდეს 9 თვითმფრინავი.

*

ბრძოლა ფინეთში

მოსკოვი, სარგებლობს რა რთული საერთაშორისო მდგომარეობით, განსაკუთრებით გერმანიის ძალების ნორმანდიაში და სხვა ფრონტებზე დაკავებით, თითქმის მთელი თავისი ძალებით აწყდება ფინეთს. [illegible] პატარა ფინელი ხალხი გასაოცარი სიმამაცით იცავს თავს და უდიდეს ზიანს აყენებს მტრის მოზღვავებულ ძალებს. მოსკოვი დაუზოგავად აწყვეტს ფინეთის [illegible] თავის ჯარებს და მის ფასად უკანასკნელ დღეებში აღწევს ზოგიერთი წარმატების მიღწევას.

ფინეთის მთავარსარდლობის 21 ივნისის ცნობით, საბჭოთა ძალებმა შესძლეს ქ. ვიბორგში შეჭრა. ამავე დროს საბჭოთა საზღვაო ძალებმა გადასხეს დესანტი კოივისტოს კუნძულზე. აქ მძაფრი ბრძოლები მიმდინარეობს. ფინეთის გრძელი ფრონტის ყველა სხვა ადგილებზე მტრის შეტევა მისთვის დიდი ზარალით უკუგდებულია. მარტო 20 ივნისს ჩამოგდებულ იქნა მტრის 67 თვითმფრინავი.

ქართველ მოხალისეთა ცხოვრებიდან

მისაბაძი მაგალითი

ათასობით ქართველი მოხალისეები იარაღით ხელში სდგანან გერმანიის არმიის რიგებში, ევროპის სადარაჯოზე. წლების განმავლობაში მათ დაამტკიცეს, რომ ისინი წარმოადგენენ თავიანთი დიდი წინაპრების გმირულ ტრადიციათა ღირსეულ გამგრძელებლებს. ქართველი მოხალისეების ათასეულებმა აღმოსავლეთის ფრონტზე, იტალიაში და საფრანგეთში თავგამოდებული ბრძოლებით სამაყო ფურცლები ჩასწერეს ქართული ლეგიონის ისტორიაში. გარდა მებრძოლი ათასეულებისა, არსებობს მუშათა რამდენიმე ათასეული. ისინი როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ისე ზურგში დაუღალავ მუშაობას ეწევიან და ეხმარებიან თავიანთ მებრძოლ ძმებს გამარჯვებაში.

მათ კარგად იციან, რომ ფრონტზე დაჭრილ-დასახიჩრებულთ დახმარება ესაჭიროებათ. ამ საქმის ორგანიზაციას გერმანიის წითელი ჯვარი ეწევა. ქართველი მებრძოლები არ იშურებენ უკანასკნელ პფენიგსაც კი თავიანთი შემოსავლიდან, სისტემატურად უგზავნიან შემოწირულებას გერმანიის წითელი ჯვრის ორგანიზაციას.

ამმხრივ აღსანიშნავია ქართველ მესანგრეთა № ასეული. აღნიშნული ასეულის მოხალისეებმა 1943 წლის მაისიდან 1944 წლის მაისამდე შეაგროვეს და გადასცეს გერმანიის წითელ ჯვარს 30. 835, 55 მარკა. მათი მოქმედება მისაბაძია ყველა დანარჩენი დანაყოფებისათვის.

ლეგ. ს. ბ.

*

დასვენების დღე

ჩრდილოეთის ფრონტზე მყოფ ქართველ მესანგრეთა ასეული, რამოდენიმე თვის განმავლობაში დაუღალავ მუშაობას ეწეოდა... მაისმა ჩვენ მხიარული და სასიამოვნო დასვენების დღე მოგვიტანა. დივიზიის შტაბიდან მოვიდა ცნობა, რომ ამ დღეს ჩვენი ასეული კონცერტზე იყო მიპატიჟებული. ყველა სიამოვნებით მოელოდა საღამოს. ნაშუადღევს ასეული მოწყობილი გაემართა თეატრისაკენ. ჩვენმა მუსიკოსებმა თან წამოიღეს აკორდეონი და სალამურები. ისინი გზადაგზა უკრავდნენ და მღეროდნენ ქართულ სიმღერებს. მუსიკალური კონცერტი მოხალისეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს. შემდეგ ასეულის მეთაურის თხოვნით მოხალისეებმა შეასრულეს ქართული ცეკვები.

გერმანელ სტუმრებს, რომლებიც ქართველებს პირველად ხედავდნენ, ცეკვებზე ახსნა-განმარტებას აძლევდა თარჯიმანი. ბოლოს დივიზიის მეთაურმა აღნიშნა ქართველთა ხალხური ხელოვნების სიმშვენიერე და გამოუცხადა მათ მადლობა. მოხალისეები აღტაცებული და კმაყოფილებით აღსავსე დაბრუნდნენ უკან.

ლეგ. ვ. თ.

თანამოძმის დასახმარებლად

ამ რამდენიმე ხნის წინათ № ქართველ ათასეულში, უბედური შემთხვევის გამო მძიმედ დაიჭრა ლეგიონერი გ. ჯ. სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შემდეგ, იგი გადაიყვანეს მახლობელ ლაზარეთში, სადაც ექიმების მზრუნველობის შედეგად გადარჩენილ იქნა სიკვდილისაგან. გ. ჯ. იმდენად იყო დასუსტებული, რომ აუცილებლად საჭიროებდა სისხლის შემატებას. საჭირო შეიქნა სისხლის გადასხმა. მისმა მეგობრებმა ერთხმად განაცხადეს სურვილი სისხლის გაღების შესახებ. ერთერთმა მათგანმა სიამოვნებით მისცა თანამემამულე მეგობარს 500 გრამი სისხლი. მოხალისის ჯანმრთელობა მალე გაუმჯობესდა, მოკლე ხანში იგი კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა.

ქართველ მოხალისეთა შორის ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. ყველა ჩვენგანი მზად არის სიცოცხლეც კი გასწიროს თავისი თანამოძმის გადასარჩენად.

ლეგ. ქ. მ.

ამერიკელ ჯარისკაცთა ზნეობა

ამერიკულ ჟურნალ „ტაიმს" მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობა: მიმდინარე წლის იანვრიდან აპრილამდე ამერიკის არმიის იმ დანაყოფების 1.800 ჯარისკაცი, რომლებიც ინგლისის ტერიტორიაზე იმყოფებიან, სხვადასხვა სახის ხულიგნობისა და ბოროტმოქმედებისათვის გასამართლებულ იქნა და ტყვეთა ბანაკებში გაიგზავნა.

განსაკუთრებით ხშირია მკვლელობისა და ქურდობის შემთხვევები. „ტაიმი" მიუთითებს, რომ ბოროტმოქმედნი იყენებდნენ სამხედრო ფორმას, რათა უფრო ადვილად შესულიყვნენ ამათუიმ, მათთვის საინტერესო ორგანიზაციაში. ხშირია შემთხვევა, როცა ამერიკელი ჯარისკაცები მოსვენებას არ აძლევენ ქუჩაზე გამვლელ ინგლისელ ქალიშვილებს. ამ საქმით, განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ზანგები.

ასეთია ამერიკელი ჯარისკაცების დამახასიათებელი თვისებები და მოქმედება მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

ისტორიული ლექსები

7. ფიქრები მომაკვდავი მეფისა

ლეგ. ვ. ურდოელი

თავზე ედგნენ: დედოფალი დედა,
ხასიათი და მეჭკვიანე ტახტის,
ცოლი, როგორც ნამოშჯნარი ძეწნა,
დასცქეროდა ცრემლდამწვარი თვალით!
თუ ბნელია მჭრელი მზიურ შუქის,
უგონობას ქვეყნად რაღა ეშველს! —
სიკვდილს ეპყრა ანთებული გული
საქართველოს დაღებული მეფის.
არას გრძნობდა... მისი იყო ხენი, —
[illegible]
იდუმალნენ ტკბილ სიცოცხლის დღენი
და წარსულზე ფიქრებს მისცა თავი:
ტკბილიც იყო, მწარეც იყო ყოფა,
[illegible]
სულ ოთხი წლის იქნებოდა, როცა
[illegible]
ცხრა წლის ბავშვი — მეფისას არ ღირსი
ტახტზე დასვეს — მეფედ არვინ არ სთვლიდა!..
ძმებს განუდგნენ ერისთავნი თვისნი,
შინაურ შუღლს და შფოთს მისცეს ქართლი!..
ლიპარიტი უმხედრობდა ამ ხალხს,
[illegible]
თუმცა მეფედ მორიგებს სცდოდა, —
ვერ ეწია სახარბიელო სურვილს!..
ქართლს აგება მწუხარება დიდი
[illegible]

[illegible]
[illegible]
მეფეც სულმნათი: ცისკვეშეთს მრავლის,
თავს დაატყდეს ღვთის რისხვა და მეხი,
ამიერით კვლავ თუ გავერიათ
და შევნელდი, მეფევ, შენი კვერთხი!..
შეიწყნარა... არ [illegible]
ბრძენების ფიქრებით სულგრძელობას მეფის!
[illegible]
ღვთის სამსახურს — კეთილია ღმერთი!..
აქ შეიწყვიტა მეფემ თავის ფიქრი,
[illegible] — ვერ აიღო თავი! —
ნათელ სახეს მოსდებოდა ფერი
და მჭრეთოდა ცრემლით სავსე თვალი!..
მიმოხედა ირგვლივ — ახლავს ყველა,
გრძნობს დაკლება მწუხარების ულევს!
ხედავს ეგი, რომ ხედავდა ერთად
თავის ერთგულ საქმეს და ღვაწლმოსილებს!
ეს თქვა ჩუმად: „[illegible] შენის,
„[illegible] ყოფა!
„საქართველოს მთელს და ძლიერს შემნის
„მთლიანად ერთად და მთლიანად ყოფნა!"
მერე ხმაც არ გამსნიდა... გული
[illegible]
იგი სიბრძნე, მაშინ ჩუმად თქმული,
ნეტავ ესმა თუ კი ესმის ვისმეს?!

*

კავკასიონი

ლეგ. ამური

მე დედამიწის ავცდი მერვედის, —
კავკასიონის მიწის და მოძმენის...
რათ მეხამზრები კვლავ იბერეთო?!
რათ მეხამზრება ჩემი იეჯახო?!
რა შორის დიდებით მაღალ კორდებიან
მოუხვეჭარა ჩემი ბავშვობა.
მაინც უთვლენებ რათ მაგონდება
ის სიხარული და თამაშობა?!

გადავკარგულვარ და იმედებით
მაინც მილიან სახლში ჩვენები...
კავკასიონის თეთრი ქედები,
ნეტავი ახლა რათ მეჩვენებით?!
რათ მახსენდება ყველა ბუჩქები,
დიდი კაკლის ხე და ის ბარდები?!
მჯამს, რომ ამ გრძნეულ გადაუჩრები,
მჯამს, რომ-მეორედ დავიბადები...

1. მაღალ მთებზე სდგანან საზენიტო ქვემეხები. დღედაღამ ფხიზლად სდარაჯობენ გერმანელი მეზენიტეები მტრის თვითმფრინავების გამოჩენას; 2. მიმმართველი ქვემეხთან.

ომის სამი წელი

დ. თბილელი

სამი წლის წინათ, 22 ივნისს, აღმოსავლეთის მეზობლის დაუსრულებელი ინტრიგებითა და აგრესიით მოთმინებიდან გამოსული გერმანია, შეტევაზე გადავიდა. გაკოტრდა სიტყვიერი პროპაგანდის პოლიტიკა, ამეტყველდა მახვილისა და ცეცხლის, ზარბაზნისა და ქვემეხის პოლიტიკა.

უშველებელი ფრონტი, დაწყებული ყინულოვანი ფინეთიდან და გათავებული შავ ზღვამდე, მოძრაობაში მოვიდა. ამ ცნობამ ევროპაში და მთელს მსოფლიოში ელვისებურად იფეთქა. ყველამ ინსტინქტურად იგრძნო, რომ ამით დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ორ ძალას შორის, რის შედეგზე იქნება დამოკიდებული ევროპის კულტურისა და ცივილიზაციის გადარჩენა ან დაღუპვა. მეტიც: დაისვა ევროპის ხალხთა მოწინავე ნაწილის თვით არსებობის, ყოფნა-არყოფნის საკითხი.

გერმანიის მხრივ ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ იყო ადვილი. ის წარმოადგენდა შექმნილი მდგომარეობის, მომენტის დიდი და სერიოზული აწონდაწონის შედეგს. ამას ცხადყოფს გერმანელი ხალხის მეთაურის პროკლამაცია, რომელიც ამავე დღეს, შვიდ საათზე პროპაგანდის მინისტრის გებელსის მიერ იქნა წაკითხული. ამ ისტორიულ დოკუმენტში მკაფიოდ არის ნაჩვენები, თუ რამ აიძულა გერმანია ასეთი უკიდურესი საშუალებისათვის მიემართა. და სწორედ ამ სამი წლის ბრძოლების ისტორიამ, როგორც გერმანიის მხედრობის გასაოცარმა გამარჯვებებმა, რომლებმაც იგი კავკასიის მთებამდე მიიყვანა, აგრეთვე სამხედრო ხელოვნებაში ჯერ უცნობმა უკანდახევამ კასპიდამ, ნათლად გამოარკვია, თუ რა საფრთხის წინაშე იდგა გერმანია და მასთან ერთად ევროპა, რა ძალა იყო იქ, რუსეთის დაულეველ სივრცეზე დაგროვილი, რომელიც უცდიდა შესაფერ მომენტს, რათა ნიაღვარსავით წამოვარდნილიყო და ევროპის ხალხთა ტრადიციული ცხოვრება წაელეკა. ადოლფ ჰიტლერის ისტორიული დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს თავისი ხალხისა და მთელი ევროპის წინაშე, რომ მან გენიალურად გაშიფრა ეს მოსალოდნელი საფრთხე და თავის დროზე, არც გვიან და არც ადრე, რომ იტყვიან, შეუტია მტერს. მტრის დამარცხება ისე, რომ რაც უნდა ცვალებადი იყოს ომის ბედი, იგი ამ ბრძოლას ვერ გადაურჩება.

აგრესორობა?! აქვს ზოგიერთს გულუბრყვილოდ იკითხოს: სადამ სამი სამჯერის კავშირის აგრესიობა, როცა პირველად გერმანიამ აიღო იარაღი ხელში, ის იყო დამწყები საომარი მოქმედებისა? ისტორიამ იცის მრავალი ომი, როდესაც ომის გამომწვევი ის კი არ ყოფილა, რომელმაც პირველი დარტყმა მიაყენა, არამედ პირიქით.

გერმანია, გარშემორტყმული ინგლისის კოალიციით, ე. წ. დემოკრატიული, მდიდარი კაპიტალისტური ბლოკით, იძულებული გახდა, თუ არ უნდოდა, რომ ეკონომიურ მარწუხებში მთლიანად გაჭყლეტილიყო, იარაღისათვის მოეკიდა ხელი. მაგრამ, რომ ქვეყანა საზღვრებს გარეთ არ ჩაებმა, იგი იძულებული გახდა წინასწარ გამოერკვია საბჭოთა რუსეთის პოზიცია. ამ მიზნით იგზავნება მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი კრემლთან მოსალაპარაკებლად. ეს არის უჩვეულო ამბავი და კრემლის ვაჟბატონები გრძნობენ, რომ ეხლა უდგებათ მათ ჟამი მოქმედებისა. ახლოვდება დრო მათი სანუკვარი მიზნების განხორციელებისა. მათ აზრით მდგომარეობა მარტივია: თუ პირველმა მსოფლიო ომმა ისინი რუსეთის ბატონობამდე მიიყვანა, მეორე მსოფლიო ომი მისცემს მათ ბატონობას ჯერ ევროპაში და მერე ხომ გზა გახსნილია მსოფლიო ჰეგემონიისათვის. იწყება ერთი [illegible]. ინგლისის დიპლომატებს [illegible] ისტუმრებენ სახლში. გერმანიასთან იდება ხელშეკრულება, რომლის ძალით მყარდება გარეგნულად ნორმალური, სახელმწიფოთაშორისო მდგომარეობა. მთავარი მიზანი ამ ხელშეკრულებისა გულისხმობს კონსულტაციას ყველა იმ კითხვის გამო, რომელიც შეეხება ამ ორი ქვეყნის ინტერესებს და, რაც მთავარია, საბჭოთა მთავრობა თავისთავზე იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს დაწყებული ომის შეწყვეტას ან მისი ლოკალიზაციისათვის იზრუნოს. ხედავთ, რა მშვიდობისმოყვარედ გამოდის ეს მოძალადე ქვეყანა!

გერმანიას, რომ ამ მომენტში არავითარი მტრული განზრახვა არა აქვს რუსეთის მიმართ, სჩანს რიბენტროპის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა კრემლში გამართულ ბანკეტზე. „ისტორია გვასწავლის", სთქვა მან, „რომ როდესაც რუსეთი და გერმანია მტრულ განწყობილებაში იყვნენ, ამით სარგებლობდა მესამე". იგი გულისხმობდა ინგლისს. გადაჭრით შეიძლება ითქვას: ამ მომენტში გერმანია გულწრფელად მოქმედებდა. ის, გამოდის რა საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან, ურიგდება თავისი გვერდით საბჭოთა რუსეთის არსებობას მიუხედავად იმისა, რა ძალაა აშენებულ იქ გაბატონებული. გერმანიის მთელი გულისყური მიმართულია დასავლეთისაკენ, მისი ისტორიული მტრის, ინგლისის საშიშროების წინააღმდეგ. ამრიგად, გერმანია, დარწმუნებული იმაში, რომ აღმოსავლეთიდან საშიშროება აღარ მოელის, არღვევს იმ რკინის სალტეს, რომელიც ინგლისმა მას მოარტყა. იწყება ომი პოლონეთთან და ამით ომი ინგლისის კოალიციის წინააღმდეგ. კრემლი სიამოვნებით უყურებს ამას. ის ამზადებს წინასწარ პოზიციებს მომავალი შეტაკებისათვის, ამიტომ იჭერს პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილს, ხელს იხრის, მოქმედებს ქართული ანდაზის თანახმად: ლუკმა გადარჩეს, ჯამში ჩავარდესო. შემდეგ, აგრეთვე აღწევს რა ერთ მიზანს, ხმამაღლა, კალმისის პირით აცხადებს, რომ იგი ამ ომში დაინტერესებული არ არის. მას ეჭირვება დასავლეთ წერტილები ლატვიაში, ესტონეთში, ლიტვაში, ფინეთში და რომ ბესარაბია და ბუკოვინა მისი ისტორიული მიწაწყალია. ყველას ახსოვს ის წმინდა შანტაჟისტური ნაბიჯები, რომლითაც მან ბალტიის ქვეყნები დაიპყრო. ჯერ უცნობი მოლაპარაკება მოსკოვში, გამოწვეული ამ ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებთან ერთი მხრით იარაღის რახარუხით, მეორე მხრით ფიცებით, რომ მათ შინაურ საქმეებში ჩარევისაგან რუსეთი თავს შეიკავებს. მაგრამ აღწევს რა მიზანს ხელშეკრულების დაწერას და ამის ძალით შედის ჯარებით ამ ქვეყნებში, უმალვე ფხრეწს ფორმალობის ქაღალდებს და უსირცხვილოდ იერთებს აღნიშნულ ქვეყნებს. ივსება ფინეთის ჯერი. ვის დაავიწყდება ის თავგანწირული, დრამატიზმით სავსე ბრძოლები პატარა, თავისუფლებისმოყვარე ქვეყნისა, რომელმაც კარგად იცოდა ბოლშევიკების მეთოდები და არც ადვილად მათ ანკესს არ წამოეგო. რისთვის სისხლი და ცრემლი დაიღვარა, აწიოკდა და განადგურდა მოსახლეობა და რისთვის? მხოლოდ იმისთვის, რომ ამ პატარა, გმირ ხალხს ხელიდან გამოეცალა სასიცოცხლო რაიონები, ასე ბატონებით უკვეა თავისი ქვეყანა და თავისუფლება? ბოლშევიზმი, თითქოს საკუთარი ივლიერებისათვის იბრძვის, ხომ ასე აწერია, გულუბრყვილოთა თვალისასახვევად მის დროშას. მაგრამ რა ბოროტებას ჩადიოდა მან პატარა ქვეყნის მიმართ, ამას კაცობრიობის ხსოვნა ვერასოდეს ვერ შეურიგდება, ამის გამო საბჭოთა წარმომადგენელი ლიტვინოვი ერთა ლიგიდანაც კი გააძევეს დაუძინებელმა მისმა მოკავშირეებმა. მაგრამ მოძალადე მოსკოვს ამით რა დააკლდებოდა! მან ხომ კარგად იცოდა, რომ მეორე ომისში მასთან იგივე ძალები საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანიისა და ევროპის წინააღმდეგ. შეიქმნებოდა ამიტომ, ვინაიდან გამოირკვა, რომ ომის მდგომარეობა მიემსგავსებოდა არა იმ გზით, როგორიც დასაწყისში ჰქონდათ წარმოდგენილი კრემლის მესვეურთ.

გერმანია, თავისთავად ცხადია, პირისპირ მოსკოვის ამ ოინებს გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა. ის მშვენივრად ხედავდა, საითკენ იყო მიმართული საბჭოთა რუსეთის მზაკვრული ზრახვები. მისი უდიდესი თამაში მას არ გამოპარვია. მოთქმენტს, რომ 1940 წ. ოქტომბერში კრემლის ბატონებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს და ბერლინში მოლოტოვის პირით ახალ-ახალი მოთხოვნილებები წამოაყენეს: თავისუფალი ხელისუფლობა ბალკანეთის ქვეყნებსა და ფინეთში, მიუხედავად იმისა, რომ ამ პატარა ქვეყნებთან სისხლიანი ომის შემდეგ ახალი ხელშეკრულება იყო დადებული. ამავე დროს ძველი, მეფის რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები დარდანელის ხელში ჩასაგდებად საოცარი იქნა გამოტანილი. ბოლშევიკები ამ მოთხოვნილების წამოყენებით მიღიოთრევის გზას დაადგნენ, რასაც პირველი ომის დროს ასე გააფთრებით ებრძოდნენ ლენინის მეთაურობით. და თუ ძველ რუსეთს ამ იმპერიალისტურმა პოლიტიკამ კისერი მოატეხინა, ამავე უნდა მოელოდეს დღევანდელი რუსეთიც.

დღეს ბოლშევიზმის უცვლელ ბუნებას, მის განზრახვას, საბოლოო მიზნებს — იარაღით ხელში ევროპის, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, აბრძოლების თავისი ბატონობის განმტკიცებისათვის — ევროპაში ყველა უკვე საკმარისად იცნობს. და მას არც შეუძლია სხვაგვარად მოქმედება. ის ხომ ამისათვის არის დაბადებული, ხომ უნდა მიაღწიოს თავის ბოროტ, სისხლიან მიზანს, ან სამუდამოდ შთაინთქოს უფსკრულში, განადგურდეს, რომლისგან მხოლოდ მწარე მოგონება დარჩება.

ჟურნალისტის ბლოკნოტიდან

პარტიული კომედია

უკანასკნელ ხანებში, სტალინური პრესა თავდაუწყვეტლივ გაჰკივის ხანჯრით გლეხობის პატრიოტიზმის შესახებ. ეს აჟიოტაჟი იმით არის გამოწვეული, რომ გლეხებს შორის ამ პატრიოტულმა გრძნობამ უკვე დაიწყო ჩაქრობა. წითელი არმიის შემოტევამ, რომელიც ჯერ სახელდახელო ეძებს ხალხს, თვალები აუხილა გლეხობას. მათ დაინახეს სინამდვილე, გაიგეს, თუ როგორ მზაკვრულად ატყუებდნენ მათ. ეს კი, ხელს არ აძლევს სტალინელებს. და, აი, დაიწყო გაფაციცებული „კამპანია“. მერე, როგორი? ნამდვილი კომედიური, ვაჭრული. მოვიყვანოთ მაგალითი:

26 მაისს, სოხუმის რადიომ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ვიღაც კოლმეურნემ, ფერაპონტე გოლოვატიმ გადასწყვიტა თავის საკუთარ ხარჯზე თვითმფრინავი წითელი არმიისათვის. ამასთან დაკავშირებით, ფერაპონტემ სპეციალური წერილით მიმართა „ამხანაგ“ სტალინს და უდიდესი პატრიოტული აღტყინებით სთხოვა მიეყიდათ მას ყველაზე უახლესი კონსტრუქციის ერთი თვითმფრინავი. რას იზამთ, ფერაპონტეს სურს ახალთახალი მანქანის გადაცემა თვითმფრინავში.

სტალინმა, რასაკვირველია, ვაჭრობა არ დაიწყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კაცმა ამნაირი ხმა აზრის ათვლა და ურჩევდა სტალინს შეეკრიბა და ფერაპონტეს. რამდენიმე დღის შემდეგ სტალინმა პირადად უპასუხა „მილიონერ“ გლეხს: „თქვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება“.

ჩვენი სიტყვებით სტალინის დეპეშის რედაქცია ასეთია: „ვიღებ ახალთახალ მანქანას, გაძლევთ უახლესი კონსტრუქციის თვითმფრინავს, რომელიც თქვენი სურვილის მიხედვით ჩემთან რჩება“...

მასობრივი ასიმილაცია

მოსკოვის რადიომ, ამ დღეებში საზეიმოდ გამოაცხადა, რომ დამთავრდა რკინიგზის სადგურების წესრიგში მოყვანისა და დასუფთავების სრულიად-საკავშირო ოლიმპიადა. როგორც საინფორმაციო ცნობებშია ნათქვამი, ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 600 ათასმა კომკავშირელმა, რომლებმაც გაწმინდეს 4.546 სადგური და შეაგროვეს აუარებელი ნარჩენი.

ზოგიერთმა შეიძლება გაიფიქროს, რომ ზემოაღნიშნულ სრულიად-საკავშირო ოლიმპიურ მიგრანტ ოპერაციაში არაფერია გასაკვირი, ვინაიდან იმის დროს ფრონტისპირა სადგურებში მართლაც შეიძლება იყოს უწესრიგობა და ნაგავი. მაგრამ, საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს ოლიმპიადა ჩატარდა არა ფრონტისპირა რაიონებში, არამედ იქ, სადაც ჯერ ერთი ბომბიც არ ჩამოვარდნილა, — ბაიკალისპირეთში, ამურისა და სვერდლოვსკის რკინიგზებზე.

როგორც ხედავთ, საბჭოთა ზურგში მეტად კარგად მიდის საქმეები.

ჩერჩილის ახალი „წარმატება“

ინგლისის შრომის სამინისტროს ორგანო სწერს, რომ აპრილში, მთელს ინგლისში ჩატარდა 308 გაფიცვა, რის შედეგადაც დაიკარგა მილიონ ექვსასი ათასი სამუშაო დღე.

თუ გავიხსენებთ, რომ თებერვალში გაფიცვების გამო ინგლისის მრეწველობამ დაჰკარგა 278 ათასი სამუშაო დღე, შეიძლება ადვილად მივხვდეთ, რომ ჩერჩილის საშინაო პოლიტიკის „მიღწევები“ არ ჩამორჩებიან მის „წარმატებებს“ საგარეო პოლიტიკაში.

ამერიკელების რეკორდი

ამერიკული პრესა საზეიმოდ და დაუფარავი სიამაყით აცხადებს, რომ ამერიკელებმა იმის დაწყებიდან დღევანდლამდე ყველა ფრონტზე ტყვედ წაიყვანეს სულ 347 იაპონელი ჯარისკაცი!

საგასაოცრად!.. თურმე, ნუ იტყვით, ამ ციფრით მტკიცდება ამერიკელების იაპონელებზე გამარჯვების შანსები. გრანდიოზული ციფრია 347, ნამდვილი ამერიკული რეკორდია!

1. ბერსაგლიერი მეკავშირენი იტალიის ფრონტზე; 2. მოტორიზებული კოლონა ზადადის მცინაკიზე.

ფანტასტიკურ საკითხავები

ხანმოკლე ნაცნობობა

ჟან როზლერი

ცხოვრებაში შეიძლება ხანდახან გაუგონარი ამბავი გადახდეს კაცს. ყოველი კაცის ჩვენს ზნეობის ფარგლებში სამიჯნურო ... მოხდა ხანმოკლე მეზობლობის დროს. ეს გამოსცადა აგრეთვე ჩვენმა მეგობარმა იორგენ ბრუნკმა, როცა იგი, გაბედულად და თავმდაბლურად მოქცეოდა. როგორც ეს შეხვედრის კერძოობაზე მჯდომ ახალგაზრდა კაცს, გაჩერდა ახალგაზრდა ქალიშვილის წინ და ცივად გამოელაპარაკა მას:

— ჩვენ ნაცნობები არა ვართ?

— არა!

— დიდიხანია ეს საჭირო იყო!

— თქვენ ასე გგონიათ?

გოგონა ამას ხალისით ამბობდა და ეცემა იგრძნო, როგორ ძალუმად აუჩქროლდა სისხლი ძარღვებში.

— შეგიძლია თუ არა, ერთმანეთს შევხვდეთ დღეს საღამოს, მშვენიერო ქალიშვილო?!

— მე ქალიშვილი არა ვარ!

— არა?

— არა!

— სამწუხაროა!

— ნამდვილად?

— თქვენ გათხოვილი ხართ?

— დიახ!

— სად არის თქვენი ქმარი?

— ჩემი ქმარი სახლშია, აქ მე მარტო ვარ.

იორგენ ბრუნკმა იგრძნო დიდის მაგრის დამარცხებელი სურნელება და გამჭვირვალე ცას შეხედა.

— თეთრ ზღვას სურს ეს. შეიძლებოდა ხომ...

— არა, ეს სწორედ არ შეიძლებოდა. — სასტიკი ტონით განაცხადა ახალგაზრდა ქალმა, მთელმა კურორტმა იცის, რომ მე გათხოვილი ვარ და ქმარი ჩემთან არ არის. რას იტყოდა ხალხი, რომ მე უცნობ თქვენთან ერთად სასტუმროში მოვსულიყავი?

— ხალხს შეეძლო...

— რა?

— ხალხს შეეძლო ეფიქრა, რომ მე თქვენი ქმარი ვარ, მოულოდნელად ჩაიცინა.

ახალგაზრდა ქალი იდგა და მომხიბლავად იღიმებოდა.

— თქვენ მე მომწონხართ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო!

— როგორ?

— როგორც სჩანს, სწორედ ასეა!

— შემასადილე?

— რა?

— თანახმა ხართ?

მან ღიმის ნიშნად თავი გაიქნია.

— არა, ეს შეუძლებელია, სრულიად შეუძლებელი.

მაგრამ ეს შესაძლებელი შეიქნა...

როცა იორგენ ბრუნკი სამი საათის შემდეგ თავისი ხელის მარჯვით სასტუმროში მივიდა, სადაც ირენა ექვს კვირას სცხოვრობდა, მან იკითხა:

— მომიმზადე თუ არა ჩემმა ცოლმა ოთახი?

— დიახ, მეორე სართულზე.

— გმადლობთ.

იორგენ ბრუნკმა სიცოცხლით გაბრწყინებულმა აიტანა თავისი მარჯვე ზევით და სასიამოვნო მოლოდინში, თავისი გამარჯვების გამო ამაყი, გაბრწყინებული სახით, რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩავიდა სასტუმროს რესტორანში, სადაც ოფიციანტს შეხვდა.

— შემიძლია დღეს ჩემს ცოლთან ერთად ვივახშმო საზაფხულო ბაღში?

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია.

— როგორ, თავისუფალი მაგიდა არ არის?

— მე შემიძლია ერთი მაგიდა შემეტანა.

— მაშ, რაღა გიშლით ხელს?

— თქვენი პატივცემული მეუღლე...

— რა?

— თქვენი პატივცემული მეუღლე, სამწუხაროდ, ერთი საათის წინ გაემგზავრა.

— გაემგზავრა?

იორგენმა კვლავ იგრძნო, როგორ ძალუმად აუჩქროლდა სისხლი ძარღვებში.

— გაემგზავრა?

— დიახ!

— და მან ჩემთვის არაფერი დასტოვა?

ოფიციანტმა თავი დაუქნია:

— როგორ არა, დასტოვა ექვსი კვირის ანგარიში. მან სთქვა — ეს ანგარიში დღეს საღამოს ჩემს ქმარს წარუდგინეთ, იგი სწორედ დღეს უნდა ჩამოვიდესო.

თარგმნა გერმანულიდან
ლევ. ა. მ-მა.



საქართველო

ჭადრაკი

ამოცანა N 13

ლ. კობალი

თეთრები იწყებენ და აკეთებენ ყაიმს.
თეთრები: მეფე a7, პაიკ ფ6 და f6 (3).
შავები: მეფე b5, ეტლი e8, პაიკი b7 (3).

ამოცანა N 12 პასუხი:
კc2 — h8!

შეამოწმე შენი ცოდნა

1. რომელი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავდა მდებარეობს ზღვის დონეზე დაბლა?
2. რას ნიშნავს გამოთქმა „აქილევსის ქუსლი“?
3. რატომ არ სჩანან დღისით ვარსკვლავები?
4. აქვთ თუ არა თევზებს სმენა?
5. დაასახელეთ მდინარე რაინის უძველესი სახელწოდებები და სადამ წარმოიშვა იგი.

კითხვების პასუხები

N 23 (100):

1. შეიძლება, თუ ვაზლის ნაჭერს მივცემთ თანმხრივ ამოჩნეულ ლინზის ფორმას და მასში მზის სხივებს გავატარებთ.
2. ალექსანდრე დიუმას (მამას).
3. მითოლოგიური გადმოცემით ძველ ბაბილონში ღმერთებმა ერთერთი გოდოლის მშენებლობის საშვალი მიზნით, შეუშვეს ენა აურიეს, რის გამოც მათ ერთმანეთისა არაფერი ესმოდათ. გამოთქმა აღმარება რაიმე დაუხირდებელი და შეუჯერებელი საქმიანობის დასახასიათებლად.
4. ეკვატორიალური აფრიკის ნილოს მოებში.
5. შტრაუსები.

26 მაისის აღსანიშნავი ზეიმი ბერლინში

30 მაისს, ბერლინის ქართულმა კოლონიამ მოაწყო 26 მაისის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

კრება გახსნა ბერლინის ქართული კოლონიის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ტატე მარგველაშვილმა, რომელმაც გერმანულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა ქართველთა დიდი ეროვნული დღესასწაულის — 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ. სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო სამროვანტი რეზოლუცია სტალინის მარიფვი მზაკვრობის — ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა გადასახლების წინააღმდეგ.

საზეიმო სხდომის შემდეგ მოეწყო კონცერტი. სიმღერები ქართული ცეკვები და სიმღერები შეასრულა ვენდა ლიტბარ ვ. მაღრაძის ხელმძღვანელობით.

საღამოს მრავალი ხალხი დაესწრო, გარდა ქართველებისა, აქ იყო ბევრი გერმანელი და უცხოელი სტუმარი.

*

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით მოვახსენო იმ მოხალისეებს, რომელთაც მიღებული აქვთ „ქართული ლეგიონერის უბის წიგნი“, გასწორონ მასში გაპარული სტამბური შეცდომები: მე-27 გვერდზე, ზევიდან 11 სტრიქონის შემდეგ აკლია ერთი სტრიქონი: „ზნეობრივი და საერთოდ სულიერი ცხოვრების ვითარების და“ შემდეგ როგორც ტექსტშია; მე-58 გვერდზე, ზევიდან 15 სტრიქონის შემდეგ აკლია შემდეგი სტრიქონი: „აშერეთში გახიზნული თეიმურაზ პირველის, კახეთის მეფის დედამ“ და სხვ.

პატივისცემით: ალ. ასათიანი.

ქართველ მოხალისეთა საყურადღებოდ!

ქართული საკავშირო შტაბის გამოცემით იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა არჩილ მეტრეველის მიერ შედგენილი ჯარისკაცის გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონი (DEUTSCH-GEORGISCHES UND GEORGISCH-DEUTSCHES SOLDATENWOERTERBUCH).

ლექსიკონი შედგენილია იმავე წესით, რაც სიტყვებით უდევს ჯარისკაცის გერმანულ-უცხოური ჯიბის ლექსიკონების სერიას.

ქართველ ლეგიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროს ფონდის გასაძლიერებლად შემოწირულობის შემოწირულობის სახით გაღებული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto, Berlin 25033 für Dresdner Bank — Konto Nr. 3232.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლ. ლინი

რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo“
Berlin W 7, Dorotheenstraße 64

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

როგორ დაიბადა ასტრონომია

ასტრონომია უძველეს მეცნიერებათა რიცხვს ეკუთვნის. ისტორია გვიჩვენებს, რომ იგი წარმოიშვა რამდენიმე ათასეული წლების წინათ ჩვენს დრომდე. ადამიანებს უძველეს კულტურულ ხალხებს, როგორიც მაგალითად, ინდოელებს, ეგვიპტელებს, ჩინელებს, ასირიელებს, ბაბილონელებს, ფინიკიელებს, რომ არაფერი ვთქვათ ბერძნებზე, უკვე წარმოდგენა ჰქონდათ ასტრონომიაზე. ცნობები ციური მნათობების მოძრაობის კანონების შესახებ მათ მიიღეს საკუთარი დაკვირვებებიდან.

კელტური ეგვიპტეში პირველად შედგენილი იყო ხუთი ათასი წლის წინათ ჭრისტეს დაბადებამდე. დაახლოვებით ასი წლის შემდეგ, ეგვიპტელებისაგან დამოუკიდებლად, კალენდარი შეადგინეს ბაბილონელებმაც. ორი ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე, გადმოგვცემს ისტორია, ჩინეთში დასჯილ იქნა ორი ასტრონომი ხი და ხო, იმის გამო, რომ მათ თავის დროზე ვერ გამოანგარიშეს მზის დაბნელება. ამით ჩინელებმა დაამტკიცეს ღმერთების რისხვა, ვინაიდან არ იქნა შეტყობინებული გამოანგარიშებული ღვთიური ნება.

აქედან სჩანს, რომ ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინათ ჩვენს დრომდე, როგორც სარწმუნო ისტორიული წყაროები გვიმტკიცებენ, კაცობრიობა უკვე იცნობდა მეცნიერებას ზეციური შესახებ. ეს გასაგებიცაა. განა საინტერესო არ არის ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ჩვენი მნათობი მზე, რომელიც გვაძლევს სითბოს და სინათლეს? ან და ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ცის თაღი მთვარითა და ვარსკვლავებით? განა საინტერესო არ არის, გავიგოთ ჩვენი ცთომილის — დედამიწის ადგილი სამყაროში, მისი სავალი მოძრაობის კანონები სხვა ცთომილებთან დაკავშირებით". ჯერ კიდევ დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ემანუელ კანტმა (1724-1804 წ. წ.) სთქვა: „ორი რამე ეუფლება უნდა აკვირვებდეს და აზიდავდეს ადამიანს. ესენი არიან — ზნეობრივი კანონები ჩვენში და ვარსკვლავებიანი ცა ჩვენს ზევით“.

ადამიანი, თუ მისი გონება ხაზოვნივად არ არის დახშული უოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხებით, უოველთვის მიისწრაფის და მიისწრაფოდა წარსულშიც. ზეციისკენ. შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ასტრონომია ჩაისახა იმ მომენტიდან, რაც დედამიწაზე პირველად გაჩნდა მოაზროვნე არსება.

წარმოიდგინეთ პირველყოფილი ადამიანი, რომელიც აკვირდებოდა მზეს. რა აღტაცებას მოიგვრიდა მას ამ მნათობის მზერა?!

აი, სალამოვდება. მზე ჩადის ჰორიზონტს იქით და ღამე დგება. შეიძლება წარმოვიდგინოთ ის შიში, რომელიც შეიპყრობდა მაშინ პირველყოფილ ადამიანს: ჩაქრა ის მნათობი, რომელიც ათბობდა მას და უნათებდა გზას ტყეში. იგი ხომ არ არის იმაში დარწმუნებული, რომ მზე ხელმეორედ დაუბრუნდება მას!

რამდენიმე ხნის შემდეგ ცა იგივე ხიბლავს თავის პირველ დამკვირვებელს. იწყება ღამის შესანიშნავი ხედი. მთვარე, თავისი ვერცხლისებური შუქით, სხვადასხვა ფერებით, ვარსკვლავები, ერთფეროვნად და სხვადასხვა ხილვით ჯგუფებად განწყობილი არიან ცის თაღწარმტაც კამარაზე. ამ ხანახანით დატკბობილ პირველყოფილ ადამიანს შეუმჩნეველად ეპარება ძილი. იგი ხედავს, თუ როგორ იღებება ვარდისფრად აღმოსავლეთი, როგორ ჰქრებიან ვარსკვლავები და ჩადის მთვარე, და, ბოლოს, ზანტად, მაგრამ მედიდურად ჰორიზონტზე ისევ გამოჩნდება ცხოველმყოფელი მზე.

ასეთი შიში და დაუჯერებლობა აჭერობდა პირველყოფილ ადამიანს. ამის ამტკიცებს უძველესი ლიტერატურული ძეგლები. ერთერთ ძველ პოემაში ასეთ ტაეპს ვხვდებით:

„მზე, ჩვენი ქველმოქმედო მზე, შთაინთქა დასავლეთში. დარწმუნებული ვართ თუ არა, რომ ხვალ იგი ხელახლა გამოჩნდება აღმოსავლეთში? რომ არ დაბრუნდეს უკან? ალარ გვექნება ჩვენ არც სითბო და არც სინათლე. ცივი და ბნელი ღამე გამეფდება დედამიწაზე. როგორ უნდა მოვიქცეთ ხელახლა ჩვენი ღვთიური ცეცხლი? რითი შეიძლება შევეცადოთ იგი, სადამ მივიღოთ მისი შუქმფენი სინათლე? აი, აენთენ ვარსკვლავები, ამოვიდა მთვარე და თავისი სხივები მიაშურა სამყაროს. მაგრამ ეს არ არის მზე, ეს არ არის დღის სინათლე. აჰა, დადგა განთიადი. იგი თანდათან ძლიერდება. გაიღვიძე შენს პირველმა სხივებმა. მზე, ეს ცოცხლია ღმერთია! კურთხეულ იყავ მარადის! არ დაგვიწყდეს ჩვენთან დაბრუნება!“

ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ცის თაღის პირველყოფილი დამკვირვებელი. ეს დაკვირვებები დიდხანს გრძელდება.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა, ასტრონომიას ცოდნას უუურადღებოდ. უფრო მეტიც, ზოგი მათგანი მეცნიერებები უუურადღებოდ არიან იმ ცნებებს მის. ეს მაშინ, როდესაც ჩვენი აზრით თვითეულ ადამიანს სავსებით ჰქონდეს ნათელი წარმოდგენა ამ საგანზე, რომლის ნაწილიც თვითონ წარმოადგენს.

ლევ. ნ. ძ.